ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1187012

ნომერი: AR1206802

თარიღი : 24.03.2014

გაცემის თარიღი : 27.03.2014

გაცნობის თარიღი : 27.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/042);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაქარია ზირაქიშვილი პ/ნ 01024021439
- გიული ჭოხონელიძის ჩიხი 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.17.10.003.074) მრვალფუნქციური (საოფისე, კომერციული, საცხოვრებელი) შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს საკითხი, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ საპროექტო ობიექტის ესკიზი (ფოტომონტაჟი არსებულ გარემოში). ასევე, საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, საპროექტო ობიექტის დატანით და ხე–ნარგავების ჩვენებით. ხის მოჭრის ან გადარგვის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 24 მარტს. საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა დოკუმენტაციის წარმოსადგენად. რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 8 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

ტექნიკური გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.